საკროსვორდო-შემეცნებითი გაზეთი №15 (257), 24 მაისი - 6 ივნისი, 2002 წ. პარასკევის გამოშვება 40 თეთრი

# ფანტაზია



რა უნდოდა დიანა კუსრაძეს წვენებში?

მე-12 გვ.

მე-16 გვ.

რატომ არიან რობოტ-ფსიქო-ლოგები ეჭვი-ანები?

ვინ გაიმარ-ჯვებს საკროს-ვორდო ჩემპიო-ნატში?

ვინ იღიმება ყველაზე უკეთ „ფანტაზიაში

მე-14 გვ.

სად ისწავლა მანანა ქვარიანმა დედამთილობა?

მე-18 გვ.

*სპორტული ქრონიკა*

# ჩემპიონი გამოვლინდება 26 მაისს

ვიდრე ძირითად სათქმელზე გადავიდოდთ, შეგახსენებთ მცირეოდენ ისტორიას.

(საგაზეთო) საკროსვორდო ჩემპიონატის ჩატარების იდეა 1997 წლის გაზაფხულზე ჩაისახა და დღევანდელი ტურნირის რამოდენიმე კონკურსანტი (გაბრიელიძე, ხაჩირაშვილი, ბალდავაძე, ჯახველიძე და სხვები) იმ სულ პირველ ჩემპიონატშიც კი მონაწილეობდა. ჩვენ ერთხელ, ალბათ, ყველა ჩემპიონატის ქულათა განაწილების საერთო ცხრილს შევქმნით, როგორც ეს სტატისტიკის მოყვარულებს სჩვევიათ, მაგრამ მანამდე შეგვიძლია ვთქვათ ის, რომ, მიუხედავად ბევრი სირთულისა, ამგვარი ჩემპიონატის ჩატარებამ ეჭვშეუვალი არსებობის უფლება მოიპოვა.

* * *

მიმდინარე ტურნირი კი ა.წ თებერვალში დაიწყო და ორი ეტაპის დასრულების შემდეგ ფინიშის სწორზე გავიდა, რაც დასწრებული მატჩების საშუალებით ჩემპიონის გამოვლენას გულისხმობს.

რა თქმა უნდა, ეს ორი რამ - კროსვორდის ამოხსნა სახლში, როცა ხელთ გაქვს წიგნები (..და ტელეფონი) და „შიშველი ხელებით“ დარჩენა კროსვორდთან - ერთმანეთისაგან განსხვავებული ცნებებია, მაგრამ ჩვენ ვფიქრობთ, რომ ნამდვილ სპორტსმენს მისი სპორტული სახეობის ყველა სფერო უნდა ჰქონდეს ათვისებული, თუმცა არც იმას გამოვრიცხავთ, რომ ოდესმე ეს ორი სახეობა „სპორტული კროსვორდისა“ ერთმანეთისაგან გაიმიჯნება და ორ დამოუკიდებელ ჩემპიონატად ჩამოყალიბდება. ჯერჯერობით კი იქამდე მისასვლელად შორი გზა გვაქვს გასავლელი.

* * *

გასულ კვირას დასრულდა ორტურიანი დამატებითი ტურნირი, რომელსაც უნდა დაესახელებინა დასწრებულ მატჩებში მონაწილე ოთხეული, მაგრამ ჩვენ თითქმის დარწმუნებულნი ვიყავით იმაში, რომ „ბუმბერაზები“ თანაბარ შედეგს აჩვენებდნენ და „რაღაც დამატებითის“ ჩატარება კიდევ გახდებოდა აუცილებელი. ასეც მოხდა: ბოლო ტურში მხოლოდ ტარიელ გასიტაშვილმა შეძლო ქულათა მაქსიმუმის დაგროვება, ყველა დანარჩენმა კი თანაბარი 59 ქულა დააგროვა. საბოლოოდ, ბევრი დავისა და კამათის შემდეგ გადაწყდა, რომ დაინიშნოს მეოთხედფინალური მატჩები (რაც გათვალისწინებული არ გვქონდა); ამგვარი გადაწყვეტილება, როგორც ჩანს, ოპტიმალური გამოსავალი იყო შექმნილი ვითარებიდან და პრაქტიკულად არავის გამოუთქვამს წინააღმდეგობა. ასე რომ მონაწილენი ასე დაწყვილდნენ:

1. ელეონორა ფურცელაძე - მარინე ხაჩირაშვილი
2. ტარიელ გასიტაშვილი - ლიანა კუსრაძე
3. გია ნიშნიანიძე - ლელა ბუბაშვილი
4. ლილე აქუბარდია - ზურა სესიტაშვილი

ნახევარფინალებში ერთმანეთს შეხვდებიან 1-4 და 2-3 წყვილებს შორის გამარჯვებულნი.

მონაწილეთა ამგვარი დაწყვილება ეფუძნება მათს მიერ ნაჩვენებ საერთო შედეგებს 10 ტურში, რაც ასე გამოიყურება: ფურცელაძე - 352, ნიშნიანიძე - 351, გასიტაშვილი - 350, აქუბარდია - 349, სესიტაშვილი - 347, ბუბაშვილი - 345, კუსრაძე - 345, ხაჩირაშვილი - 343. (რომელიმე მონაწილის გამოუცხადებლობის შემთხვევაში მატჩებზე დაიშვება ნინო ურუშაძე, რომელმაც სუპერლიგაში მოიპოვა ადგილი 119 ქულით).

ანუ: ფურცელაძეს, როგორც ძირითადი ტურნირის გამარჯვებულს მიეცა უპირატესობა და შეხვდება მერვე ადგილზე გასულს, უპირატესობა მიენიჭა გასიტაშვილსაც, როგორც დამატებითი ტურების გამარჯვებულს და იგი მეშვიდე ადგილის მფლობელს შეხვდება და ა.შ.

* * *

დასწრებული მატჩები ჩატარდება ასე:

- მეოთხედფინალებში მოწინააღმდეგენი ოცწუთიან მატჩებს გამართავენ 21 სიტყვიან კროსვორდში.
- ნახევარფინალებში დაინიშნება ორი 40 წუთიანი მატჩი 30-40 ამოსაცნობი ერთეულით.
- ფინალში იქნება ერთსაათიანი მატჩი 50-მდე სიტყვით.

* * *

ტურნირის ორგანიზატორი და მთავარი მსაჯი ოფიციალურად აცხადებს, რომ, მიუხედავად მცირეოდენი „კორუფციისა“ (...რაც იარსებებს მუდამ, სანამ სპორტი არსებობს), ტურნირმა უძლიერესები გამოავლინა და გამოჩნდა კიდევ ერთი გზა, საითაც შეიძლება წარიმართოს იმ აუთვისებელი სივრცის გაკვალვა, რასაც სპორტული კროსვორდი ჰქვია.

*შეამოწმეთ თქვენი საკროსვორდო განსწავლულობა*

# რეიტინგი



დღეიდან შემოგვაქვს ქულათა დათვლის ახალი სისტემა, სადაც ერთი სწორი პასუხი ერთი ქულის შესაბამისი იქნება; და ეს კეთდება ერთი მიზნით, რომ „რეიტინგის“ საშუალებით მართლაც დავარიგოთ სპორტული ტიტულები და ვიდრე ეს მოხდება, თავად თქვენ შეგიძლიათ, საკუთარი თავის მოუტყუებლად, გამოთვალოთ საკუთარი კოეფეციენტი, ვთქვათ 5 ან 10 კროსვორდის ჯამში, მერე კი ვნახოთ.

**1**. ნაწილი იმ კაცის გვარისა, რომელიც პეტრე ბაგრატიონთან ერთად იბრძოდა რუსეთის საკეთილდღეოდ. **2**. ყოფ. ლენინგრადის ერთ-ერთი ბოლშევიკური ღირსშესანიშნაობა. **3**. ის, რაც დიდი ხანია ჩვენი ბინებიდან მეტნაკლებად გაქრა „ახალი ცხოვრების“ მოსვლის შემდეგ. **4**. ქალაქი რუსეთის ტვერის ოლქში. **5**. არაჩვენებური წარმოების ცხარე საწებელი. **6**. ქვეყანა, რომელიც ზუსტად 40 წლის წინ იგივე ციებ-ცხელებაში იყო, როგრშიც ახლა თუნდაც კორეაა. **7**. სწორედ *ამგვარი* ეპითეტური ტიტულის უნდა ყოფილიყავი, კომუნისტობისას რაიმე თანამდებობა რომ მიგეღო. **8**. პარლამენტის ხელმძღვანელი ორგანო. **9**. ნარკოტიკული ნივთიერება. **10**. არარსებულის არსებულად გასაღების საშუალება. **11**. ერთგვარი ტკივილგამაყუჩებელი პრეპარატი, რომელიც კომუნისტობისას ყოველგვარი რეკლამის გარეშე იყიდებოდა. **12**. დასავლელქართველების (განსაკუთრებით - ჩვენი საყვარელი მეგრელების) დელიკატესური საჭმელი. **13**. კომუნისტობისას სწორედ ასეთი ეპითეტი ჰქონდა სამრეწველო დანიშნულებით აღჭურვილ ქალაქებს (მაგ. რუსთავს და მისთანებს). **14**. სიტყვა, რომელიც „მავანი უცხო ენიდან“ შემოჭრა და ბევრი ჩვენი სამეწარმეო გაერთიანების სათაურში დაფიქსირდა (ჩვენს „მალულასაც“ ერთვოდა ერთდროს). **15**. თანამედროვე მსოფლიო ფეხბურთის ერთ-ერთი ყველაზე აღიარებული ოსტატის მეტსახელი. **16**. დახედეთ ფოტოს და ამ ქალბატონის ემოციური განწყობის შესაფერი ერთ-ერთი სიტყვა გაიხსენეთ. **17**. დიდი გაშლილი ველი. **18**. ცნობილი ქართველი პედაგოგი, მასწავლებელთა დახელოვნების ინსტიტუტის ხელმძღვანელი. **19**. დაავადება ასეთიც არსებობს. **20**. „კონფიგურაცია“ , რაც ოთარაანთ გიორგის სიკვდილის მიზეზიც კი გახდა. **21**. შეჯიბრების ნაწილი. **22**. მარცვლეულის შესანახი ნაგებობა. **23**. ჩვენგან დროებით მივიწყებული შექსპირის ერთ-ერთი „სამოღვაწეო“ სფერო. **24**. ერთხელაც დახედეთ ფოტოს და ამ ქალბატონის ემოციური განწყობის შესაფერი სხვა სიტყვაც გაიხსენეთ. **25**. ყველაზე ბუნებრივი კოსმიური ფორმა. **26**. ლოგიკურად ერთგვარად სწორ ორ დებულებას შორის არსებული წინააღმდეგობა. **27**. თანამედროვე ჩოგბურთის ერთ-ერთი ლიდერი მამაკაცთა შორის. **28**. ჩინოჩიტა - იტალიაში, საქართველოში - რა? **29**. ქართველი მსახიობი ქალბატონი. **30**. ჩასვით გამოტოვებული სიტყვა:

**„შაირობა პირველადვე სიბრძნისაა ერთი დარგი, საღმრთო საღმრთოდ (.......), მსმენელთათვის დიდი მარგი.**

**31**. ამა თუ იმ ლიტერატურულ ქმნილებათა კრებული. **32**. ჩვენი ერთ-ერთი სასიმღერო სარკინიგზო სადგური. **33**. ფონოგრამა, იგივე ხმოვანი ბილიკი, ანუ რა - „თანამედროვე“ ენით? **34**. დათა თუთაშხიას საყვარელი ქალი. **35**. ცნობილი ჩინური გაზეთი „ჟენმინ (.......რა?)“. **36**. გასული საუკუნის 60-იანი წლების თბილისის „დინამოს“ კალათბურთელთა გუნდის წევრი, სსრკ ჩემპიონი.



1-9 ქულა - ახალბედა
10-18 - 1-ლი თანრიგი
19-27 - ოსტატი
28-36 - დიდოსტატი
პასუხები - მე-18 გვ.

**შეადგინა ალ.ელერდაშვილმა**

შექსპირის სონეტების მოყვარულებს კი ვთხოვთ მცირეოდენი დასვენების საშუალება მოგვცენ იმ გამართლებით, რომ ჩვენი სულიერი „ვნებათაღელვა“ მთლიანად საფეხბურთო მსოფლიო ჩემპიონატითაა დაკავებული და ვშიშობთ „მთარგმნელობითი ფორმა“ არ გავიუარესოთ. ვიმედოვნებთ, რომ სონეტებს აგვისტოში დავუბრუნდებით!





**თარაზულად**:

1. ასეთი სახით შეიძლება დაკარგვაც და განათლების მიღებაც. 5. ვულკანური წარმოშობის ერთ-ერთი პროდუქტი. 9. მუსლიმანი მთიელებით დასახლებული სოფელი. 10. საზიზღარი ფაშისტების მიერ მოგონილი ადგილი და საშუალება ადამიანების დასჯისა. 13. ფრანგი მწერალი, ავტორი ერთ-ერთი ყველაზე გახმაურებული სამიჯნურო რომანისა. 14. ნივთიერებები, რომლებიც ღუპავენ თანამედროვე ახალგაზრდობის ნაწილს. 15. სკანდინავიური მითოლოგიისა და ცრურწმენის უზენაესი არსება. 16. სიყვარული ასეთიც არსებობს. 21. მექსიკის ცენტრალურ ნაწილში მდებარე შტატი. 22. ადამიანის ერთ-ერთი „პარაზიტული“ შემადგენელი ნაწილი... მხოლობით რიცხვში. 24. საბჭოური (რუსული) წარმოების მაცივრების მარკა. 25. ქართული კინოს ერთ-ერთი ცნობილი პაპა-პერსონაჟი. 26. ქართული კინოს ერთ-ერთი ცნობილი დოლიძე-არაპერსონაჟი. 29. როგორი უნდა იყო, რომ მტაცებლების გარემოცვაში თავი გაიტანო (ადამიანებზე მოგახსენებთ? 30. სხეულის ნაწილი, რომელიც მთლიანად მოკლებულია თმოვან საფარს (მხოლობით რიცხვში). 33. სპარსეთის შაჰების მიერ გაცემული ბრძანების სახესხვაობა. 34. ერთ-ერთი ყველაზე ცნობილი საბჭოელი (რუსი) ავიაკონსტრუქტორი. 35. მატერიალური და სულიერი კულტურის, საზოგადოების განვითარების საფეხური, დონე.

**შვეულად**:

2. მაშ, როგორ დგას ეს ქალბატონი? 3. (ზემოთხსენებული) ქალბატონი ფრანგი მსახიობი გახლავთ... მის ფსევდონიმს ხომ არ გაიხსენებდით. 4. ამერიკის შეერთებული შტატების ერთ-ერთი ყველაზე სამრეწველო ქალაქი. 5. როგორი ქრონიკები ასახა თავის რომანში ფანტასტმა რეი დუგლას ბრედბერიმ? 6. ჩვენს სინამდვილეში კარგად ცნობილი სიმონ ჩაჩავას მეუღლე. 7. კუჭის წვენში მარილმჟავასა და ფერმენტული პეფსინის უქონლობა (ისარგებლეთ ჩვენი საკროსვორდო ენციკლოპედიით). 8. საქართველოს რაიონული ცენტრი, რომელმაც ერთ-ერთი ყველაზე გამოჩენილი კროსვორდისტი აღუზარდა „ფანტაზიას“. 11. მაშ, ამჯერად ვინ იმალება კროსვორდის ჩარჩოს უკან? (სახელი და გვარი). 12. სასულე მუსიკალური ინსტრუმენტიც და ოფიცრის ჩინიც ძველ არმიებში. 17. გაცემული თანხის სარგებლით მცხოვრები ერთ-ერთი („პარაზიტული“) წარმონაქმნი საზოგადოებისა. 18. სამხრეთ საქართველოს რაიონული ცენტრი. 19. ხტომასთან დაკავშირებული ერთ-ერთი სიტყვა. 20. თუნდაც მარი ფრანსუა არუეს (...მას ფსევდონიმიც აქვს) ძირითადი პროფესია. 23. წყალზე გადებული ხიდის სახესხვაობა. 27. თავისი სპეციფიური თევზით ცნობილი მდინარე საქართველოში. 28. ქართული თეატრის თალაკვაძე. 31. რუსეთის საფეხბურთო ჩემპიონატში მონაწილე გუნდი. 32. ჩასვით გამოტოვებული სიტყვა თამრიკო გვერდწითელის ცნობილი სიმღერის ტექსტში:

**(.....) ისეთი რამ არის,**
**ვერ გაექცევა ვერავინ...**

## იაპონელი მხატვრების კონკურსის მეოთხე ტური. ნახატი №1



პირველ საკონკურსო იაპონურ ნახატში თქვენ გევალებათ:

1) არ აჩქარდეთ, რადგან ნახატი საკმაოდ რთულია (0,005 ქულა).

2) მოგვახსენოთ, თუ რა არის ასახული ნახატზე (თუ, რა თქმა უნდა, დახატეთ ის) (2 ქულა).

3) დაისვენეთ და გაიაზრეთ - რას შეიძლება ნიშნავდეს ნახატზე არსებული სიმბოლოები? (3 ქულა)

გისურვებთ წარმატებას.

მე-2 ნახატი მე-20 გვერდზეა;

* * *

თქვენს პასუხებს ველით ტელეფონზე - 79-53-70 - გაზეთის გამოსვლის დღეს, პარასკევს, 20-21 საათებში.

ერთხელაც შეგახსენებთ, რომ 31 მაისს პარასკევის „ფანტაზია“ არ გამოვა, ამიტომაც ახლავე გთხოვთ დაიმახსოვროთ, რომ მხოლოდ ქალბატონებისათვის გამიზნული საკროსვორდო მინი-ტურნირი (...სანამ ჩვენი ბატონები ფეხბურთს უყურებენ...) დაიწყება ჩვენი გაზეთის სამშაბათის გამოშვებაში, 4 ივნისს და მისი დავალებელი მთელი ივნისის განმავლობაში მონაცვლეობით გამოქვეყნდება სამშაბათ-პარასკევის გამოშვებებში

# „ფანტაზიის“ საფირმო სუპერკროსვორდის კითხვები (იხილე გვ.5)

**თარაზულად:**

1. მრგვლად შემწვარი წიწილი.
4. **იხილეთ ფოტო №1**.

8. ლათინური წარმომავლობის სიტყვა, რომელიც დაუდევარ შეცდომას აღნიშნავს. 14. ადამიანის დამოკიდებულების გამომწვევი მიზეზი ობიექტურ რეალობასთან მიმართებაში. 15. მაღალი კვალიფიკაციის მქონე ფარმაცევტი. 16. ჩქარა - იტალიურ (...და მუსიკალურ) ენაზე. 19. ონორე დე ბალზაკისეული პერსონაჟი, რომელიც მის მრავალ ნაწარმოებში გვხვდება. 20. უილიამ შექსპირისეული მეფე, რომელმაც საკუთარი ძმა ყურში ლენცოფას წვენის ჩაწვეთებით მოკლა. 21. ის, რამაც შეიძლება „დაასხას“ ადამიანს. 24. კომბლესეული ძროხა მულტფილმში. 25. „მაყურებლების გართობის“ ჟანრში მოღვაწე რუსი სატირიკოსი.

26. **იხილეთ ფოტო №6**, რუჯერო (...... )

30. როგორი ფრინველია ბულბული? 31. როგორი შეიძლება იყოს მეტად სასაცილო და არაორდინარული მოვლენა? 35. დიდი საბჭოელი ფიზიკოსი, აბრამ (.......) 36. შაბლონური, ტრაფარეტული... ანუ კიდევ როგორი? 37. დონელი კაზაკების წინამძღოლი საომარ ვითარებებში. 41. თანამედროვე რუსული ლიტერატურის „აგატა კრისტი“. 42. ბაღი - ძველქართულად. 43. მამათა დიდი ქრისტიანული მონასტერი. 44. სიკჰთა რელიგიური წინამძღვარი. 48. ერთი ქართული სიმღერის პერსონაჟი, რომელმაც მოგვიანებით „საბუდარელ ჭაბუკშიაც“ ამოყო თავი. 49. ვილნიუსის საკალათბურთო გუნდი. 50. ყვავის ნაშიერი.

54. **იხილეთ ფოტო №2**.

55. დაშორება ორ მოძრავ ობიექტს (...ან სუბიექტს) შორის. 56. „ახალი“ წინსართის მქონე კუნძული ბისმარკის კუნძულების ჯგუფში. 60. ყველაზე დიდი გამცემი კაცობრიობის ქრისტიანული ნაწილის ცნობიერებაში. 61. მოკლეზულიანი ქვემეხი დაქანებულ ტრაექტორიაზე ჭურვების სროლისათვის. 62. ჰექტორის მეუღლე ჰომეროსის „ილიადაში“. 66. მარიო პიუზოს „ლომგულა“ მთავარი პერსონაჟი. 67. ტირიფისებრთა ოჯახის მცენარე. 68. ადამიანის ტანისამოსის ერთობლიობა. 72. რუსთველისეული პერსონაჟი. 73. მუსიკალური ნაწარმოებების შესრულების სახესხვაობათაგანი. 74. ჩვენს ცნობიერებაშუ არსებული ერთ-ერთი ყველაზე ცნობილი ყაჩაღი. 78. დიდი რუსი ფიზიკოსი, ემილი... 79. ერთ-ერთი, ამჟამად ცოცხალი, ლივერპულელი ხოჭოთაგანი. 80. ბალახით დაფარული სივრცე. 81. მიწის დასამუშავებელი მოწყობილობა. 86. ციხე-ქალაქი ისტორიულ სამხრეთ დასავლეთ საქართველოში. 87. რა ჰქვია თანამედროვე ჰოლივუდელ მსახიობ ქალბატონს, გვარად უივერს? 88. თითოეული იმათგანი, ვისი კოდექსიც ბუსიდო გახლავთ (...ან გახლდათ). 92. რა ჰქვია ქართველ მწერალს, გვარად კოლხელს? 93. გოგონა - მეგრულად....

**სარედაქციო ჩანართი:**

ამასწინათ ერთმა ქალბატონმა გვითხრა - ესპანურის სწავლას მეგრული გესწავლებინათ „ფანტაზიელებისთვის“ ჯობდაო!

გეთანხმებით, სჯობდა!

...თუ დახმარება შეგიძლიათ, დაგვეხმარეთ, რადგან ჩვენ მეგრულს არ ვფლობთ და თქვენთან ერთად სიამოვნებით ვისწავლით!

*(განვაგრძოთ კროსვორდი)*

94. რა ერქვა ძველი რომის მოსახლეობის დეკლასირებული ფენის წარმომადგენელს? 95. ხალხის უსისტემო და ქაოსური მასა. 99. რა ერქვა ტრაღიკულად დაღუპულ ჩვენ სახელოვან ფეხბურთელს? (...გვარს არ დავაკონკრეტებთ). 100. პოეტის ერთ-ერთი ჩვენებური მოსახსენიებელი სიტყვა. 101. ღვთის სადიდებელი ქრისტიანული შეძახილი. 105. ვინ არის ერკულ პუაროც, შერლოკ ჰოლმსიც, პატერ ბრაუნიც და ნირო ვულფიც მსოფლიო ლიტერატურაში? 106. დიდი გერმანელი პოეტი.

107. **იხილეთ ფოტო№5**, ვინ არის გამოსახული ჟაკ-ლუი დავიდის ცნობილი ტილოს ამ დეტალზე?

111. როგორი შეიძლება იყოს... უფრო სწორად: უნდა იყოს ძროხა? 112. ქართული დასახლებული პუნქტი, რომელმაც სიტყვა „მასპინძელი“ შექმნა ქართულ ენაში. 113. გერმანელი მწერალი, ვილი... (1901-1964). 118. სახელმწიფო, რომლის დროშასაც მივიღებთ იაპონიის დროშის ფონი რომ გავამწვანოთ და წითელი დისკო ოდნავ მარცხნივ რომ ჩავაჩოჩოთ? 119. პარიზის ცნობილი განსასვენებელი. 120. ქალაქი, სადაც თაჯ-მაჰალი მდებარეობს. 123. მწვანილეულის კომერციულ-კრებითი სახელი. 124. სულფატების კლასის მინერალი, რომელიც ტყვიის მისაღებ უმთავრეს წყაროს წარმოადგენს დედამიწაზე. 125. საათის ძეწკვზე ჩამოსაკიდი სუვენირული ხასიათის ნივთი. 129. ფრანგი მფრინავი, რომელმაც პირველმა გადაუფრინა ლა-მანშის სრუტეს 1909 წელს. 130. წინააღმდეგობა ორ ურთიერთგამომრიცხავ თანაბარი ძალის მსჯელობას ან დასკვნას შორის (მაგალითად ღმერთის არსებობა-არარსებობის საკითხი ფილოსოფიაში). 131. შიგაწვის ძრავის მოქმედებაში მომყვანი მოწყობილობა. 132. შორეული სივრცეების საჭვრეტი ოპტიკური მოწყობილობა. 133. ტოტალიტარული რეჟიმის წინააღმდეგ მებრძოლი ადამიანის მოსახსენიებელი სიტყვა იმავე ტოტალიტარულ ქვეყნებში. 134. სახელი ჩვენი მსახიობისა, რომელიც ქალის მთავარ როლს თამაშობდა ავთო ვარსიმაშვილის სატელევიზიო დადგმაში - „სახლი ძველ უბანში“.

**შვეულად:**

1. რაიმე მასალაზე პირუკუღმა ამობურცული გამოსახულება ანაბეჭდის მისაღებად. 2. მოუხერხებელი ადამიანის მოსახსენიებელი სიტყვა. 3. გულის ექიმი, ანუ ვინ? 5. ფრანგი ქირურგი, რომლის წყალობითაც ქირურგია ექიმბაშობას დასცილდა და მეცნიერებად იქცა შუა საუკუნეებში, ამბუაზ.... 6. წარსულის უძლიერესი ბრაზილიელი ფეხბურთელი. 7. ბულგარელი მწერალი, ივან... (1850-1921). 9. მარადმწვანე მცოცავი ბუჩქი. 10. ის, რასაც წარმოადგენს არლინგტონი ქალაქ ვაშინგტონისათვის. 11. ბიბლიური წინასწარმეტყველთაგანი. 12. ჯარის ნაწილი, რომელსაც საქმე ტანკებთან და ქვემეხებთან აქვს. 13. წარმოსახვითი ხაზი, სადაც ცა უერთდება ხმელეთს. 17. რუსი კომპოზიტორი და პიანისტი, ალექსანდრე... 18. სიბინძურის გატანით დაკავებული პირი. 22. დამუშავებული ალმასიც და ყველაზე წვრილი სასტამბო შრიფტიც. 23. მშრალად მოხარშული ძროხის ხორცი. 27. მონეტების შეგროვებით დაკავებული პირი. 28. როგორი შეიძლება იყოს სიყვარული? 29. დაშაქრული ნუშის გული. 32. წრეწირის საკუთარი დიამეტრის ღერძზე ბრუნვით მიღებული გეომეტრიული სხეული. 33. ფოტოეფექტის მოვლენის პირველი კანონის აღმომჩენი რუსი ფიზიკოსი. 34. ყველა დროის უძლიერესი ესპანელი ველომრბოლელი, მიგელ... 38. მიამიტი და გულუბრყვილო როლების შემსრულებელი მსახიობი ქალის ტიპი. 39. სტრეიზანდისა და ბრილსკას მოსახსენიებელი კნინობითი სახელი. 40. წითელი მოტკბო ნაყოფის მქონე ვაშლის ჯიში. 45. იუპიტერიც, მერკურიც და ვენერაც. 46. ერთ რუს ლიტერატორს ჰქონდა თეორია, რომ მაქსიმ გორკი არის ბულგაკოვისეული ოსტატი... ვინ გამოდიოდა ამ თეორიით ბულგაკოვისეული ვოლანდი? 47. ქირურგის ჩვენებური სინონიმი. 51. ილფისა და პეტროვის მთავარი გმირი. 52. ერთ-ერთი იმ სამი ფარაონთაგანი, რომელსაც პირამიდა უდგას ქალაქ გიზაში. 53. ალა პუგაჩოვას სიმღერა. 57. ქალაქ ფრუნზეს ახლანდელი სახელი. 58. დამანგრეველი სიძლიერის მქონე ქარიშხალი. 59. რუსულად - **Мурашки**, ქართულად რაღა? 63. ქალაქი უნგრეთში. 64. რუსი მწერალი, ავტორი სათავგადასავლო რომანისა - „ალისფერი აფრებისა. 65. ასოების უაზრო კომბინაცია, რომელსაც ალქიმიკოსების ეპოქაში მაგიური ძალა ჰქონდა. 69. ფილმ „სოფლის აშიკის“ ერთ-ერთი მთავარი პერსონაჟი ქალბატონი. 70. სასულიერო პირის წოდებაც, გრატასებრი ფრინველიც და კობრისებრი თევზიც. 71. რა ერქვა კოვალევსკაიას. 75. უნივერსიტეტის მმართველი ორგანო. 76. თავაშვებულობაში გადაზრდილი ღრეობა. 77. ალექსანდრე ყაზბეგისეული თვითმკვლელი პერსონაჟი. 82. ქართული ანბანის შემქმნელი. 83. მკერდზე დასარტყამი რამ. 84. მუსიკალურ ინსტრუმენტზე დამკვრელი, მომღერალი და მოცეკვავე - რუსთველის თანახმად. 85. ფრანგული ეროვნული ცეკვა. 89. აბზინდასაგან მიღებული სასმელი, რომელიც დიდი პოპულარობით სარგებლობდა XIX საუკუნეში.

90. **იხილეთ ფოტო №4**.

91. ადმინისტრაციული სათათბირო ორგანოს შემადგენელი თანამდებობის პირთა ჯგუფი. 96. 1992 წლის ზამთრის ოლიმპიური თამაშების მასპინძელი ქალაქი. 97. ვინ უნდა გიყვარდეს ბიბლიური ფრაზის თანახმად? 98. ფრანგი კინომსახიობი ქალი, ანი.... 102. 11 სექტემბრის ცნობილი მოვლენების ორგანიზატორი პიროვნება (სახელი და გვარი). 103. რა აღინიშება S-ით მექანიკაში? 104. შავჩოხიანი ყმაწვილის სახელი ქართულ ცნობიერებაში.

108. **იხილეთ ფოტო №3**.

109. ფაშისტური გერმანიის საგარეო საქმეთა მინისტრი. 110. მინერალი, რომლის სახელწოდებაც ორმა ძველბერძნული სიტყვის - „ოქროს“ და „ქვის“ - საშუალებით შეიქმნა. 114. სახელი და გვარი იაპონელი მწერლისა, რომელმაც დაწერა რომანი „ქალი ქვიშაში“. 115. მკაცრად დაწესებული სიმაღლე, რომელზეც უნდა იფრინოს ამა თუ იმ კლასის თვითმფრინავმა. 116. XX საუკუნის ცნობილი ნიდერლანდელი გრაფიკოსი, მორის კორნელის... 117. რა ერქვა იაპონელ მარინისტ მხატვარს გვარად ჰოკუსაის?

**მთ.რედაქტორის ჩანართი:**

დიდი ხნის წინათ პირადი შეხვედრისას ერთი ცნობილი ქართველი მხატვარი ხუმრობდა - ჰოკუსაიზე ლექსი დავწერეო..

აი, ეს „ლექსიც“:

**Хокусаи, хокусаи,**
**Иди, шашлык покусай!...**

*ეჰ, ის დრო სჯობდა*

*(დავასრულოთ კროსვორდი)*

121. ძველი ბერძნული ქალაქ სმირნის თანამედროვე თურქული სახელწოდება. 122. არც თუ ისე დიდი მუსიკალური პიესა. 126. 70-80-იანი წლების ცნობილი ბრაზილიელი ფეხბურთელი, სოკრატესის თანაგუნდელი. 127. ჭადრაკის საერთაშორისო ფედერაცია. 128. დანიური სათამაშო კონსტრუქტორი.

**შეადგინა**
**ვახო ელერდაშვილმა**




1


2


3


4


5


6

**6**

# იტალიური კროსვორდი

ჩვენი მინერალური წყალი (9)
კედლის მხატვრობა (6)
თატრული ტომი (3)
მცენარე (2)
ბზრიალა (6)
სუნთქვის დროებ. შეჩერება (5)
„დათა თუთაშხია“ პერს. (4)
მუსიკალ. ნოტი (2)
ჯარი (3)
ფართობის ერთეული (3)
დედლის კავალერი (6)
ვაზის ანაჭერი (5)
ალგზნებული განწყობა (7)
ძველი წიგნებით მოვაჭრე პირი (9)
ქართ. ზღაპარი (10)
ინგლ. ფეხბურთელი (5)
ძველ ბერძნ. ფორუმი (5)
ცხენის სვლის ფორმა (5)
საჰაერო ბრძოლ. ოსტატი (3)
ჩაპლინის ცოლი (3)
ვინც სალამს არ იძლევა (6)
ფრანგ. მსახიობი (5)
ლხინი, ქეიფი (6)
ანჩხლი (3)
(.......) და მახვილი (4)
დედათა მონასტ. წინამძღოლი (7)
სცენის ნაწილი (6)
ამაოება (5)
„ჩვენი (.......)“ ფილმი (3)
ჩინეთის ფული (5)
მსხვილი მონოპოლისტი (8)
მარადმწვანე მცენარე (5)
მომკილი თავთავის კონა (3)
ცირკის მსახიობი (8)
იონების წარმოქმნა (9)



ქალი გოიას ნახატიდან (4)
მაუგლის გამზრდელი (5)
ნარინის ბიძაშვილი (3)
ყველაზე ხანდაზმული ადამიანი ბიბლიაში (8)
ბატკანი (5)
ზევსის ძროხა (2)

** იხილეთ ფოტო**

(........) ამოს კომენსკი (3)
გამცემი (4)
ფუტკრის საკვები (3)
(.......) ალი იბნ სინა (3)
ხერხი, ოინი (5)
თევზის ძვალი (3)
საჭმლის მომზადების ხელოვნ. (9)
წამოძახილი (7)
მამალი კვიცი (3)
მამითადი (4)
ინგლისელი პოეტი (7)
ქრისტიანია (4)
იოკო (.....) (3)
ვისკის ნედლეული (4)
ძველი პალესტინა (5)
აღმოს. საკრავი (3)
ქვასროლია ბიჭი (4)
მუწუკი (5)
სურნელოვანი მცენარე (5)
ექსპრომტის ანუ (..........) ოსტატები (6)
მშვენიერი (5)
დესპანი (4)
იანის კოლეგა (3)
უტოპიური კომუნისტ. ქვეყანა (6)
ველური ვარდი (6)
„ლეზგინკა“ (6)
ტყუილების (.......) (4)
სატელეფონო სიტყვა (3)
მგალობელი (6)
ჯორის წინაპარი (4)
მუსლიმ. მარხვის თვე (8)
ხვეწნა, მუდარა (3)

7

[illegible]
კროსვორდი

ცხენის დასაჭედი ლურსმანი (5)
ხილი (4)
გარეული ცხოველი (5)
დედალოსის შვილი (7)
დასანიავებელი (5)
ცირკის მოედანი (5)
სასმისი (5)
შინაური ცხოველი (3)
ფუტკრის ბინა (3)
როგორ მოვიპაროთ (...) (7)
ნერვული სისტემის დაავადება (9)
გამოჩენილი პოეტი (7)
ძუძუსთავი (5)
დარბაზი თეატრში (4)
დაღესტნელი (4)
ფორმის ტანსაცმელი (8)
მდინარე ჩეხეთში (6)
მორიგეობა გემზე (5)
მარჯნის კუნძული (5)
ქაღალდის საზომი (4)
საკვები პროდუქტი (8)
ავეჯი (6)
სამრეწველო საწარმო (7)
(...) ვო (5)
ჭაობის მცენარე (4)
ვაჟიშვილი (2)
მოლალატე (4)
(...) იოსელიანი (4)
ვაჟას პერს. (6)
ფეხბ. მეფე (4)
ჩვენი მხარე (4)
მცენარე (2)
სპილბერგის უცხოპლ. (3)
ქალაქი საფრ. (2)
კავშირი (2)
მსახური (3)
რუსული ანბანის წინაპარი (8)
(...) ერგასი (2)
უშედეგო (4)

სევდა, კაეშანი (10)
ამირანის სატრფო (6)
„დო“-ს ძველი სახელი (2)
„მამა“ თურქ. (3)
პაიჭის შესაკვრელი თასმა (9)
ებრაული ენა (6)
ყვავილი (2)
არეულობის ნახევარი (3)
(...) ლამაზია ეს ჩემი ცოლი (3)
არჩევნებში აუცილებელი (3)
მაიმუნი (11)
პატარა ელ. საკრავი (6)
3,14 (2)
შვიდიდან მეშვიდე (2)
(...) მაკარტნი (3)



**იხილეთ ფოტო**

ცხვრის ფარის ნაწილი (4)
(...) გრეკო (2)
საეკლესიო ზეთი (6)
(...) ბრაუნი (3)
ნაწლავი (5)
იაპონური ფირმა (4)
მაგდანას ვირი (5)
სამიანი (2)
ქალის სახელი (3)
ნახევრად პარაზიტი მცენარე (5)
ძალზე გამხდარი (5)
გვერდას ძმა (3)
სვე რთველში (3)
(...) მანიანი (3)
ცხვრის ჯოგი (4)
(...) განჯელი (6)
ფოლადის ძელი მატარებლისთვის (5)
ბუნებრივი საღებავი (4)
ბავშვის აღმზრდელი უცხოელი ქალი (4)
სილამაზის ქალღმერთი (8)
ცეკვის შეძახილი (3)
წალკოტი უდაბნოში (6)
ოლივიეს მეუღლე (2)
ფართობის საზომი (4)
(...) ვაიკულე (5)
მინანქარი (5)

ლერწმის საჭრელი

პიკასოს შვილი

თურქი ფეხბურთელი

გაბურძგნული

თავსაბურავი

დამინახა მარკე-ბის შეგროვება

სიფრიფანა, თხელი

**პატარა პაუზა**

ჩუკოტკის მდინარე

მთავარი ბარბაროსი

სკანდინაველი გოგონას სახელი

....... La Comedia

ახ.წლის საგანი

საგაზეთო ხუმრობა

ხილი

თბილისის რაიონი

წინასწარმეტყველი

ახ.ზელანდია

(.....)_ ბისტრიცაია

რჩეული საზოგადოება

საწინააღმდეგო მიმართულებით

პირამიდაშია

სამართალი

ხილი ასეთიცაა

სიტყვა (ლათინ.)

(....)-გრეკო

გონებასუსტი

ლითონ. ფირფიტა

ფეხმძიმე

„და მე ავტირდი ვით მეფე (.....)"

პროვაიდერი „ჯორჯიან (.....)"

შედგინაგიჟი კაპანაძე

0.2 გრამი

აფრიკის ქვეყანა

დედა

(.....) მეგა, გიგა, ტერა

თბილისის ძველი უბანი

მარნის პატრონი

ოსი

**პატარა პაუზა**

(...) გუძაკი

პარაგვაის ჩაი

ეკლესიის „ტრიბუნა"

მატარებელი

...და მისი ძმები

**დიდი პაუზა**

დაშიფრული

ფესვის ნიშანი

(...) მარტინი, მომღერალი

აფრიკის ქვეყანა

ბრძნული ფრაზა

„მაჭაბელარატა"-ს პერსონაჟი

პიუზოც, ლანცაც

დადებითი ელექტროდი

არამოყვარე, მოქიშპე

რაჭა

ბრაზილიელი მეკარე

ორწერტილი ხმოვანზე

მუსლიმანთა მმართველი

ჩუკოვსკის ექიმი




ფინური მობილ. ტელეფ. (მრ.რიც.)

სარეცხი ფხვნილი

პრიალა, სწორი

სხეული ასეთიცაა

(.....) ტაბიძე

ჭრილობაზე დასადები

მადამ ბოვარი

(.....)-დე ჟანეირო

პატარა ჩიტი

აფრიკის ისტ.რეგიონი

დიდი მაგისტრალი ციმბირ.

რუსული ზღაპრ. პერსონაჟი

აშშ-ს ფეხბურთელი

ქილილას მეგობარი

წამალი

ყველაზე წონიანი ჰოლივუდელი

ელიფსი თავისი არსით

ბატონო! - ესპან.

მიწის ქალღმერთი

ძროხა

მდინარე ყაზახეთში

გომბეშო

ადვილი

სილამაზე

მორალი

შიიტების პირველი იმამი

რუსული თვითმფ.

უკრაინ. საფეხბ. კლუბი

უდაბნო ჩილეში

მესამე პირი

ფრანგი ფეხბურ.

ხელოვნ. მკერდის მასალა

ქალაქი იორდანიაში ჰარობანის პატრონი

**რუსული ნარმოების მანქანები**

ჩვენი ტბა

მურმანის მცენარე

რუსეთის მდინარე

მწერის განვით. სტადია

რუსი ფეხბურთელი
სოხუმთანაა
გემის ანძა / ელ.ხელსაწყო
ლიტვის ვალუტა
ბრიყვი / გრანდიოზული
5
დიდი ველი
6
ხილი / კოვბოის თოკი
(.....) ტომპსონი
სტალონეს კინოგმირი
უცდის ანუ?
კანონპროექტი აშშ-ში
განსაზღვრული ჰქონდა ანუ?
მილიარდს აქვს
კიპლინგის პერსონაჟი
დროებითი საცხოვრებელი
კითხვითი სიტყვა




1
ერთგვარი სათავსი
ბერძნული ასო / ბრძოლა
დას.ქართველი / სპორტ. ფირმა
რუსული ანბანი
ბედისწერის ქალღმერთი
ჯეიმს (.....), აგენტი 007
ნორვეგიის ქალაქი
სიტყვის სიყვარული / სწრაფვა
არჩევნების წინაა
7
ნათ.ბრ. ერთვის / უსასოო
თავადი, აზნაური / შეუსაბამო
(.......) არმსტრონგი
$CH_3CH_2CH_3$ შესავალი
4
კათოლიკ მღვდელი / კალანდაძე
ქალაქი ნორვეგიაში / მწერი
8
მე-8 მსოფლ. ჩემპიონი ჭადრაკ.
სამშენებლო მასალა
პიროტყვის სადგომი
დანიის ტერიტ. ერთეული / დუბაი
ოჯახი
ქალაქი გერმანიაში
რბოლა / რუსული საინფორმ. გადაცემა
მსუბუქი კავალერისტი 16-20 სს.
ტიმორის დედაქალაქი / შეშლილი
სახოტბო შეძახილი
ანძა / მილანის სტადიონ. „ნათლია"
კიპლინგის პერსონაჟი
უმაღლესი ხარისხ. ბროლი
სიბნელე / ჩვენი კურორტი
ვულკანის ყელი
3
მდინარე ჩრდ.კავკასიაში
მილი, მიკრო (.......) პიკო
სიგრძის ერთეული 2,54სმ
ვაჭართა გაერთიანება
ჰოლანდ. საფეხბურთო კლუბი
ქალიშვილი / იმერეთშია
რადარი / კანადის დედაქალაქი
ასოთა გადანაცვლების შედეგი
ვანოს კოლეგა სიმღერაში
იორდანიის დედაქალაქი
ლობე
თეთრი ბლანტი სასმელი
ირლანდიელი ტერორისტები
აღმოსავლური ორთაბრძოლა
სოფელი ქართლში / მცენებათა რიცხვი
პირის ღრუშია
წარმოებადი
მოწოდების შეძახილი
დახრილი კოშკის ქალაქი
პაუზა
ნახატი სხეულზე
9
(......) ალეგროვა
ქალაქი აფხაზეთში
ფართობის ერთეული
ნეგროიდულიც, ევროპეოიდულიც
2

# კროსვორდების ბაღში მნახე – ვინა ვარ!

## დაახლოებით ასეთი კროსვორდი იქნება 26 მაისის ფინალში... ამიტომ – ივარჯიშეთ!

**თარაზულად:**

1. ვინ არის ერთ-ერთი ძმა მოორთაგანი („პროფესიით“) ფრიდრიჰ შილერის პიესაში? 6. ტოტალიტარიზმთან ბრძოლის ერთ-ერთი ხერხი, რაც კარგად უნდა აითვისოს ნებისმიერი ქვეყნის **ერგანმო**-მაც და **ნაცმო**-მაც. 9. ნიკარაგუას ეროვნული გმირი, აუგუსტო სესარ... 11. ქალაქი ჩრდილოეთ იტალიაში. 12. საწყალოსნო-გამმიჯნავი სივრცე, რომლის აქეთ-იქით მოსახლენი მას სხვადასხვა სახელს უწოდებენ. 13. კავალერისტის ტიპი ევროპის რიგი ქვეყნების არმიაში. 14. რუსულად - **Оспа**, ქართულად რაღა? 15. ეს სიტყვა ესპანურად ნამდვილ „მუშაობას“, ქართულში კი მოაზრებულ „მუშაობად“ შეიძლება აღვიქვათ... რა? 16. სოფელი ტყიბულის რაიონში. 17. სულის პოეტური მიმოხვრა-გადმოფრქვევის განმაზოგადებელი სახელი. 20. ამატის, გვარნერის და სტრადივარიუსის მშობლიური ქალაქი (რა თქმა უნდა!) იტალიაში. 21. საბუნებისმეტყველო მეცნიერება. 24. ცნობები, რომელსაც ავადმყოფი უყვება ექიმს დიაგნოზის დასმამდე. 25. ტოპონიმი, რასაც რუსი თავის ენაზე ასე აღიქვამს - „მიზიდავდა-ო“. 28. დიონისეს კვერთხის სახელწოდება ძველ ბერძნულ მითოლოგიაში. 29. მეძებარი ძაღლის ჯიში. 30. ჭაობისპირას მობინადრე ადიუტანტი ფრინველი. 31. თომას მანის მშობლიური ქალაქი გერმანიაში. 32. ქალაქი ტვერის სახელწოდება 1931-1990 წლებში. 36. უილიამ ბასკერვილელის როლის შემსრულებელი უმბერტო ეკოს რომანის, „ვარდის სახელის“, ჟან ჟაკ ანოსეულ ეკრანიზაციაში (ამ გვარს გადაკვეთები გაგახსენებთ, უმბერტო ეკო არაფერ შუაშია). 37. როგორი ყმაწვილია გიგლა? 40. თემურ წიკლაურის მეტსახელი ფილმში „სინათლე ჩვენს ფანჯრებში“. 41. სახელი სიმღერისა, რასაც ზურა სესიტაშვილი, ალბათ, 26 მაისამდე დილა-საღამოს იმეორებს (?!). 44. ნიადაგში ჩასმული ძელი ნაგებობის გასამყარებლად. 45. მისივე სახელწოდების მათემატიკური სიმბოლოს ნათლია გერმან. მათემატიკოსი, ლეოპოლდ. 46. ქალაქი საფრანგეთში. 47.სიცილიის ქალაქი. 48.ჩრდ. ამერიკის კონტინენტის უდიდესი მდინარე. 49. საომარი ნადავლი.



**შვეულად:**

1. გოგრის სახესხვაობა. 2. პერსონაჟი კონსტანტინე გამსახურდიას „მთვარის მოტაცებისა“. 3. ნივრის სუნის მქონე ტყის ბალახი. 4. ღრიანკალის თანავარსკვლავედის ალფა ვარსკვლავი. 5. მარინე გიორგის ასული ფერაძისათვის კარგად ნაცნობი რუსი სელექციონერი. 6. საზოგადოებასთან ურთიერთობის სტილი. 7. იტალიელი ჰუმანისტი ფილოსოფოსი, ტომაზო... ავტორი უტოპიისა „მზის ქალაქი“. 8. ნიობესა და პელოპსის მამა ძველ ბერძნულ მითოლოგიაში. 9. ჩასვით გამოტოვებული სიტყვა იოსებ გრიშაშვილის ამ სტროფში:

**„ახლა შენ ჩემთან**
**აღარ დადიხარ!**
**ამბობ: „შორს ცხოვრობ,**
**აღმართი მღალავს!“**
**შენ რიოში ხარ,**
**როგორც (......................),**
**და ჩვენს სიყვარულს**
**არ უხდი ღალას!“.**

10. ტბა შუაგულ ანდებში. 17. მცენარე, რომლის წვენითაც კლავდიუსმა ჰამლეტის მამა იმსხვერპლა შექსპირის შემოქმედებაში. 18. რა არის „**Очи черные**“?. 19. პროვინცია კანადის ჩრდილოეთ ნაწილში. 21. ლამპის ან ნავთქურის შემადგენელი ნაწილი. 22. საარაყე ქვაბის სარქველი. 23. უძველესი ინგლისური ეროვნული თამაში, რომელსაც ლუის კეროლის შემოქმედებაში ბანქოს ქალაღდები ფლამინგოებისა და ზღარბების გამოყენებით თამაშობენ. 25. სახის გამომეტყველება. 26. ერთ-ერთი ციტრუსთაგანი. 27. კლიმატურ-ბალნეოლოგიური კურორტი სამეგრელოში. 32. იაპონური ეროვნული თეატრის სახესხვაობა. 33. ქართველი მწერალი, რომლის ნამდვილი გვარიც მამულაიშვილი გახლდათ. 34. ნახევი, ნაგლეჯი, ნაკუწი... კიდევ? 35. არქტიკის ნორვეგიელი მკვლევარი, 1922 წლის ნობელის პრემიის ლაურეატი მშვიდობის დარგში. 37. ერთმანეთთან რაიმე კუთხეებით შეერთებული სწორი ხაზის მონაკვეთებისაგან შემდგარი გეომეტრიული ფიგურა. 38. ნახევარკუნძული შავი და აზოვის ზღვებს შორის. 39. რომის პაპის გზავნილი პირი. 41. აფრიკის სახელმწიფო. 42. მაგდანას იმედი, სარჩო და საბადებელი ცხოველი. 43. თმაქოჩორა ფრინველი.

იაპონელი მხატვრების ტურნირშიც საკმაოდ დაძაბული ვითარებანია მოსალოდნელი, ამიტომ მათაც ვთავაზობთ შესაძლო და სავარაუდო დასწრებული მატჩისათვის (მეტად რთულ) გავარჯიშებას და ღმერთს ვევედრებით, რომ ასეთი მატჩის გამართვა არ გახდეს საჭირო!





**თარაზულად:** 1. პატარა სატვირთო-სამგზავრო ავტომობილი. 4. ჩვენი ქალაქი რუსთავის სამხრეთით. 7. კატალონური ფეხბურთის წარმომადგენლის კნინობითი სახელი. 13. საკუთარი იდეებისა და მომხრეთა მოღალატე ადამიანი. 14. საფრანგეთის ისტორიული ოლქი, რომელმაც სახელწოდება არტეზიულ ჭას მისცა. 15. ბანქოს მოთამაშე მეორე მოთამაშისათვის. 18. სამკურნალო-პროფილაქტიკური დაწესებულება. 19. პედაგოგიკის დარგი, სწავლების საერთო მეთოდებს რომ შეისწავლის. 22. საგნის გარშემო შემოტარებული ორნამენტი. 23. შენობა, რომელიც 2001 წლის 11 სექტემბრის მოვლენების დროს საგრძნობლად დაზიანდა. 24. ძველი ირლანდიელებისა და შოტლანდიელების საგვარეულო. 29. აზიის ერთ-ერთი უდიდესი ნახევარკუნძულთაგანი. 30. რომულუსის და რემუსის აღმზრდელი ცხოველი. 31. მთავარი როლის შემსრულებელი საბჭოურ ფილმში „მისტერ იქსი". 35. პარკოსანი მცენარე, რომელიც შედგება ოთხი - მანჯურიული, ინდური, ჩინური და კორეული - ქვესახეობებისაგან. 36. სადაური ტრაგედია დაწერა თეოდორ დრაიზერმა? 37. როგორია სხეული, რომელსაც დნობის განსაზღვრული ტემპერატურა არ გააჩნია? 40. სასულე მუსიკალური ინსტრუმენტი. 41. (ექსპერიმენტალურად ჯერ აღმოუჩენი) გრავიტაციული ველის კვანტი, რომელსაც გააჩნია ნულოვანი უძრაობის მასა, ნულოვანი ელექტრ. მუხტი და სპინი - 2 (ოჰ, ეს ფიზიკა!). 42. ბეისბოლის სათამაშო ინსტრუმენტი. 45. გერმანელი მათემატიკოსი, ბერნჰარდ... (1826-1866). 46. ყოველდღიური წვრილმანებით შემოფარგლული შეზღუდული გონებისა და გაქანების ადამიანი. 47. რა დადეს მოლოტოვმა და რიბენტროპმა 1939 წლის 23 აგვისტოს? 51. ბრიტანული ვალუტის ფუძეში დაფიქსირებული სიტყვა. 52. ცენტრს მოშორებული რეგიონი. 56. კლეოპატრას სასათაურე სატრფო უილიამ შექსპირის ცნობილ ტრაგედიაში. 57. აგატა კრისტისეული დეტექტივი-მაძებრის სახელი და გვარი. 60. რა არ შეიძლება მიეკაროს თვალზე ადამიანს? 61. სკოტლანდ იარდის წინააღმდეგ მოქმედი კრიმინალური ობიექტი ანდრე იუნებელის ფილმში. 62. XX ს მოღვაწე მექსიკელი მწერალი, კარლოს.... 65. ჯონ აპდაიკის ერთ-ერთი ყველაზე ცნობილი რომანთაგანი, რომელიც ქართულად დალი ინწკირველმა თარგმნა. 66. ჩვენს კინოპერსონაჟ ვარდოსთან დაკავშირებული დაწესებულება. 67. უხუცესთა საბჭოს კრება ძველ რუსეთში. 70. პუშკინის პოემის, „ბოშების", თემაზე შექმნილი ოპერა სერგეი რახმანინოვისა. 71. ფშატისებრთა ოჯახის წარმომადგენელი მცენარე, რომლის ნაყოფისაგან მიღებულ წვენს დიდად ემადლიერებიან ჩვენი ჩრდილოელი მეზობლები. 72. ფრანგი ქიმიკოსის, ლეკოკ დე ბუაბოდრანის მიერ აღმოჩენილი ქიმიური ელემენტი. 77. ახალი წელი გურიაში. 78. გასანათებელი საშუალებათაგანი, რომელსაც ადამიანები ილიჩის ნათურის გამოგონებამდე სწყალობდნენ. 79. მცენარეული სამყაროს მფარველი ღვთაება ძველ რომში. 84. კლასიციზმის ეპოქის ინგლისელი მწერალი და პოეტი, ჯონ.... 85. გვარი პოლარული მკვლევარისა, რომელმაც 1911 წლის 14 დეკემბერს პირველმა მიაღწია სამხრეთ პოლუსს. 86. თვალ-მარგალიტით შემკული თავსამკაული. 89. 1964 წ ტოკიოს ზაფხულის ოლიმპიური თამაშების ჩემპიონი სიმაღლეზე ხტომაში (......) ბრუმელი. 90. ზევსის მაწოვარი თხა, რომლის ტყავისგანაც შემდგომში ზევსმა და ათენამ ფარი ეგიდა „დაითრიეს". 91. ნაქსოვი ჯემპერი საყელოსა და მკლავების გარეშე. 92. ისტ. ოლქი ჩრდ.-აღმ. ესპანეთში. 93. იტალიური საზ. კვების ობიექტი. 94. პედრო ალმოდოვარის ფილმი.

**შვეულად:** 1. თანამედროვე ფრანგი მსახიობი და მომღერალი ქალბატონი, ვანესა.... 2. ჰერმეტულად დახურული ჭურჭელი. 3. ბერნარდ შოუს პიესა მეყვავილე გოგონასა და მისი ფონეტიკის მასწავლებლის შესახებ. 5. ცნობილი ფრანგი გრაფიკოსი, გუსტავ... (1832-1883). 6. ამ ბოლო დროს ჩვენშიც მეტად გაპოპულარულებული სახეობა კეგ-ელბანდისა, რომელსაც ზოგი მხოლოდ იმიტომ სწყალობს, რომ მოდაშია . 8. გამოშვებული ნაწარმის ტიპი. 9. რუსულად - **Белуга**, ქართულად რაღა? (კროსვორდის ავტორი ჯერ არ შეხვედრია ადამიანს, რომელიც ამ თევზს ქართული სახელწოდებით იხსენიებდეს). 10. ნაყოფიერების ღვთაება ფრიგიულ მითოლოგიაში. 11. ადამიანი, რომელსაც მხოლოდ ორი რამ აოცებდა - ვარსკვლავიანი ზეცა მის ზემოთ და მორალური კანონი მასში. 12. იაპონიაში, სადაც წარმოიშვა ეს პროფესია, ამ ადამიანს რინძიკისიას უწოდებენ, ჩვენ როგორღა ვუწოდებთ? 16. ადგილმდებარეობის გასარკვევი უძრავი ობიექტი. 17. ავტორი ბოლო დროს მეტად გაპოპულარულებული წიგნისა „როგორ მოვიპოვოთ მეგობრები და როგორ მოვახდინოთ ზემოქმედება ხალხზე". 20. გულის არტერიის დაავადება. 21. რაიმეს გასაკეთებლად საჭირო დამხმარე ნივთი. 25. სანგრის წინ გაკეთებული მიწაყრილი. 26. კინორეჟისორი, შემქმნელი ფილმისა „ვიღაცამ გუგულის ბუდეს გადაუფრინა". 27. რა ერქვა ჰერაკლეს დედას ძველ ბერძნულ მითოლოგიაში. 28. ხმელთაშუა ზღვისპირა ქვეყანა, სადაც პირველი ანბანი შეიქმნა. 32. უმთავრესად მსხვილკუპიურიანი ფულის შეკვრების გადასაზიდი კეისი. 33. მარცვლეულის საცავი ნაგებობა. 34. ნაპოლეონის პირადი ფერმწერი, ანტუან.... 38. რიჰარდ ვაგნერის ოპერა. 39. მართლმადიდებლური სარწმუნოების ერთ-ერთი რუსული განშტოების წარმომადგენელი. 43. ენათმეცნიერი, ანუ ვინ? 44. რა ჰქვია კაროჟნას მამას ჩვენს ლიტერატურაში? 48. კუნძულ კრეტაზე მცხოვრები მითიური ურჩხული. 49. პრეზიდენტად „კურთხევის" ცერემონიალი. 50. სითბოს რაოდენობის საზომი ხელსწაყო ფიზიკაში. 53. ამერიკელი კინორეჟისორი შემქმნელი ფილმებისა „ლოლიტა", „მექანიკური ფორთოხალი" და „ფართოდ დახუჭული თვალები". 54. საბჭოური ეპოქის ცნობილი ბალეტის მოცეკვავე მამაკაცი. 55. შენობის სხვადასხვა ნაწილების შემაერთებელი გრძელი მომინული დერეფანი. 58. ტილოს მსგავსად ნაქსოვი ბამბის ხაოიანი ქსოვილი. 59. სახელწოდება ბარათისა, რომლითაც ჯეოსელის აბონენტები სარგებლობენ თუ ჯეოსელის ოფისში მისვლა „ეზარებათ". 63. სამთო მეცნიერების დარგი, რომელსაც ვანიჩკა საყვარელიძის კინოპერსონაჟი წარმოადგენს „ცისფერ მთებში". 64. რაო, რა თქვა დიდმა გალაკტიონმა, რამდენი საუკუნის წინათ ქმნიდნენო ქართულ ანბანს? 68. ცნობილი ესპანელი არქიტექტორი, რომელიც ქალაქ ბარსელონას თითქმის ყველა ღირსშესანიშნაობის ამგებია, ანტონიო.... 69. ასტრიდ ლინდგრენისეული პერსონაჟი ბიჭუნა. 73. ქალაქი ესპანეთ-არგენტინაში. 74. ჰულაგუც, ბათუც და ბევრი სხვა მონღოლიც. 75. რვიანის მოყვანილობის მქონე საკონდიტრო ნაწარმი. 76. ავტორი რომანებისა „კერი" და „ჯენი გერჰარტი". 80. ვინ არის ალექსანდრე მაკედონელი ქალაქ ალექსანდრიისათვის? 81. როგორი წიფელი აღწერა ვაჟა-ფშაველამ? 82. ზაფხულის ნახნავი შემოდგომის ხორბლის დასათესად. 83. მოაჯირის ნაწილი, რომელიც რიკულებზე გადებულ ძელს წარმოადგენს. 87. დანიის ტერიტ.-ადმ. ერთეული. 88. რაო, რა უნდა გაგრძელდესო, რას მღეროდნენ „ქუინის" წარმომადგენლები?

## 8 ვიცნობდეთ ერთმანეთს „ფანტაზიელები“




### ამონარიდი ავტობიოგრაფიიდან

დავიბადე თბილისში, გაზაფხულის ულამაზესი თვის, აპრილის 5-ში (გასული საუკუნე იგულისხმება)

სკოლის დამთავრების შემდეგ დიდი სურვილი მქონდა, სწავლა გამეგრძელებინა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის უცხო ენების ფაკულტეტზე, მაგრამ...

### რა მინდოდა წვენებში?!

ანუ იმის თქმა მსურს, რომ უნივერსიტეტის ეკონომიურ ფაკულტეტზე ამოვყავი თავი.

ჰოდა:

- ავიმაღლე კვალიფიკაცია ქალაქ მოსკოვში,
- (და ამ ამაღლების შემდეგ) ვთამაშობდი კალათბურთს,
- (და ამ თამაშის გამოისობით) ბევრს ვმოგზაურობდი

და:

- დავიწყე მუშაობა მომარაგების სახელმწიფო კომიტეტში, ეროვნულ ფასეულობათა სახელმწიფო ფონდში.
- ამჟამად ვმუშაობ ქალაქ თბილისის საკრებულოში, ფრაქცია „თანადგომის“ ექსპერტ-კონსულტანტად.

(და რა კარგია, რომ ჩემი გამოჩენა ჩვენი გაზეთის ურთიერთგასაცნობ რუბრიკაში მიმდინარე საარჩევნო კამპანიას დაემთხვა და შემიძლია მოგიწოდოთ - „ხმა მიეცით თანადგომას!!!“).

### გატაცება თუ....

ვამაყობ, რომ მყავას არაჩვეულებრივი მეგობრები, რომელთა გარეშე ჩემი ცხოვრება ცერ წარმომიდგენია ისევე, როგორც „ფანტაზიის“ და „ფანტაზიელების“ გარეშე.

პატივს ვცემ იმ ადამიანებს, რომელთაც უყვართ „ფანტაზია“ (*ესეც ერთგვარი საზომია!*).

ძალიან მიყვარს პარასკევი დღე (*ნეტავი რატომ?!*) და პატარა ნინო კუსრაძე - მამიდის სიცოცხლე და სიხარული (იხილეთ ფოტო - ამ ორი კუსრაძიდან კროსვორდებს მარცხნივ მდგომი ავსებს).

### და ბოლოს...

რა ფასი აქვს იმის სიცოცხლეს, ვინც არ იცნობს „ფანტაზიას“?! მე კი მაქვს ბედნიერება, ვიცნობდე მას 97 წლიდან (აქაც, რა თქმა უნდა, გასული საუკუნე იგულისხმება) და ვმონაწილეობდე მის ინტელექტუალურ ტურნირებში, სადაც ორიოდე გამარჯვება მეც მაქვს მოპოვებული.

### დაე მუდამ იყოს „ფანტაზია“

(აქაც! და იქაც?)

და, როგორც მარინე ხაჩრაშვილმა ისურვა, ბატონმა რედაქტორმა (გვარს მეც არ დავასახელებ,პრინციპულად!) მოახერხოს იმდენი,რომ იმ გრძელ და ნათელ ქვეყანაშიც (ამჯერად ეს საუკუნე და ყველა მისი მომდევნო ასწლეულები იგულისხმება) ვიყოთ უზრუნველყოფილნი საკროსვორდო მასალით და თუკი რამ ახალს მოიფიქრებს და დაგვახვედრებს, „იქაურობის“ უკეთ გასაცნობად, რისთვისაც მას დრო საკმაოდ ექნება, დიდად მადლიერნი დავურჩებით „ფანტაზიელები“.



### რედაქტორის დასკვნა

რაკიღა „ფანტაზიელები“ აგრერიგად არიან მოწადინებულნი, რომ საკროსვორდო ცხოვრება „იქაც“ აქტიურად განაგრძონ, მთ. რედაქტორი მიმართავს ამ სურვილის მხარდამჭერებს, რომ ახლავე იზრუნონ „იქაურ“ საკროსვორდო ჩემპიონატში ადგილების მოპოვებაზე და ამ მიზნით „აქაურშიც“ გაიარონ პრაქტიკა.

ქალბატონი ლიანა კი, რა თქმა უნდა, ყოველთვის და ყველა ჩემპიონატში ფავორიტი იქნება, რის დამტკიცებაც მოუხდება 26 მაისის მატჩებში, სადაც პირველ მოწინააღმდეგედ ამ რუბრიკის იდეის ავტორი, თავად ბატონი ტარიელი ეყოლება (გვარი იხილეთ მეორე გვერდზე).

## ორიოდე ტკბილი კითხვა ქართული პრესის „ორიენტაციის“ შესახებ ანუ ამბავი ლიანა კუსრაძის „წვენებში“ მოღვაწეობისა

...რა თქმა უნდა, ჩვენ არასოდეს მიგვიჩნევია გაზეთი „ფანტაზია“ ნამდვილი პრესის შემადგენელ ნაწილად, რადგან არ ვართ დარწმუნებულნი იმაში, რომ ჩვენი გამოცემის ფურცლებზე წამოჭრილი (არასაკროსვორდო) ესა თუ ის თემა თუ საკითხი აუცილებლად უნდა მიეწოდოს ჩვენს მკითხველს; ანუ - დავსვათ (ქვემოთხსენებული) შეკითხვები:

- რის შესახებ უნდა წეროს ნამდვილმა, მრავალფეროვან-მრავალმხრივმა და დიდტირაჟიანმა გაზეთმა?

უნდა წეროს იმის შესახებ; ა) რაც მკითხველს აინტერესებს თუ ბ) რაც „გარკვეულ ძალებს“ აინტერესებთ თუ გ) იმის შესახებ, რაც „რეალიზაციას“ აინტერესებს?

* * *

ზემოთხსენებულ რიტორიკულ კითხვებს თავად მოუძებნეთ პასუხი, ჩვენი კი იმას მოგახსენებთ, რომ (ზემოთხსენებული) ეს და კიდევ მრავალი კითხვა გვიტრიალებს ხოლმე თავში, როცა, როგორც რიგითი მოქალაქე, ვათვალიერებთ ჩვენი აჭრელებული ჟურნალ-გაზეთების (აჭრელებულ) პირველ გვერდებს და ვფიქრობთ:

ა) რომ არ გაეგო ჩვენს საზოგადოებას ის ამბავი, რომ მავან მომღერალს თუ მსახიობს „შესაბამისი ფერის“ საცვლები აცვია...

ბ) რომ არ გახმაურებულიყო ის ამბავი, რომ მავანი პოლიტიკოსი მხოლოდ „შესაბამის ქვეყანაში“ ყიდულობს ინტიმური ტუალეტის ატრიბუტიკას....

გ) რომ მავანი ბიზნესმენი მხოლოდ „შესაბამისი სუბიექტების“ ოჯახებს სწყალობს თავისი ღიმილით...

ნუთუ დაიქცეოდა ქვეყანა?

* * *

არ ვიცი! ამიტომაც (გვერდითხსენებულ) კითხვებს ვერავითარ პასუხს ვერ ვუძებნით, მაგრამ იმას კი ვფიქრობთ, რომ მსგავსი „ორიენტაცია“, როგორც ჩანს „შესაბამის ორიენტირებს“ უქმნის მკითხველს და ამიტომაც ეტანებიან და ყიდულობენ და ავრცელებენ და „არეკლამირებენ და ატირაჟებენ“ ნამდვილ გაზეთებს!

ჰოდა, ჩვენც გადავწყვიტეთ მიგვებაძა მათთვის და (სწავლის მიზნით!) პირველად ვცადეთ გაგვეტანა პირველ გვერდზე „ფანტაზიის“ საზოგადოებრიობისათვის საჭირბოროტო საკითხები, ანუ:

ა) რა უნდოდა ლიანა კუსრაძეს წვენებში?

ბ) სად ისწავლა მანანა ქვარიანმა ასეთი კარგი დედამთილობა?

და ა.შ.

ერთი სიტყვით (ზემოთ-მარცხნივხსენებული) კითხვები თუ თქვენც გაღელვებთ და გაინტერესებთ, ანუ რატომ იქცევიან ჩვენი „ფანტაზიელები“ *ან ასე და ან ისე*, გვკითხეთ და შევეცდებით პასუხების მოძიებას; ვიმეორებთ - ჩვენ მხოლოდ „ფანტაზიელების“ ამბები გვაინტერესებს და არა „შესაბამისი გამოცემების“ მკითხველებისა.

*პატარა ენციკლოპედია*

## ინდოეთის შტატები

### 8. კარნატაკა - Karnâtaka

მდებარეობს სამხრეთ ინდეთში, ჩრდილოეთიდან ესაზღვრება მაჰარაშტრას და გოას შტატები, სამხრეთიდან კერალას შტატი.

სახელწოდება „კარნატაკა“ დაახლოებით ასე ითარგმნება - „შორეული (მოშორებული) ქვეყანა“

დამოუკიდებელ შტატად გამოცხადდა 1953 წელს.

სახელი „კარნატაკა“ ჰქვია 1973 წლიდან.

ფართობი - 192 000 კვ. კმ. მოსახლეობა - 45 მილიონი, მოსახლეობის სიმჭიდროვე - 234 ადამიანი კვ.კმ-ზე.

ადმ. ცენტრი - **ბანგალური** (2 700 000).

ძირითადი ენები - კანადა და ჰინდი.

### 9. კერალა - Kerala

მდებარეობს სამხრეთ-დასავლეთ ინდოეთში, არაბეთის ზღვის სანაპიროზე. ჩრდილოეთიდან ესაზღვრება კარნატაკას შტატი.

დამოუკიდებელ შტატად გამოცხადდა 1956 წელს.

ფართობი - 39 000 კვ. კმ. მოსახლეობა - 30 მილიონი, მოსახლეობის სიმჭიდროვე - 749 ადამიანი კვ.კმ-ზე.

ადმ. ცენტრი - **ტრივანდრამი** (525 000).

ძირითადი ენა - მალაიალამი.

### 10. მადჰია-პრადეში - Madhya Pradesh

მდებარეობს ჩრდილოეთ ინდოეთში; ჩრდილო-დასავლეთით ესაზღვრება რაჯასტანის შტატს, ჩრდილო-აღმოსავლეთით - უტარ-პრადეშის შტატს, აღმოსავლეთით და სამხრეთით ბიჰარის და ორისას შტატებს, დასავლეთით - გუჯარათს. სახელი წარმოდგება სანსკრიტის ენიდან და „ცენტრალურ ქვეყანას“ ნიშნავს

დამოუკიდებელ შტატად გამოცხადდა 1956 წელს

ფართობი - 445 450 კვ. კმ. მოსახლეობა - 67 მილიონი, მოსახლეობის სიმჭიდროვე - 387 ადამიანი კვ.კმ-ზე.

ადმ. ცენტრი - **ბჰოპალი** (1 100 000)

ძირითადი ენა - ჰინდი.

*მასალა დამუშავებულია „ფანტაზიის“ რედაქციის მიერ*

# მე-20 საუკუნის 500 ყველაზე ცნობილი ადამიანი

398. **უილიამ შოკლი**
Shockley, William (1910-1989)
**ამერიკელი ფიზიკოსი**

მეოცე საუკუნის ერთ-ერთი ყველაზე ცნობილი მეცნიერი-ფიზიკოსი უილიამ შოკლი თავდაპირველად „Bell Telephone Laboratories“ ფირმის კვლევით ჯგუფში მუშაობდა. შემდეგ სათავეში ჩაუდგა ჯგუფს, რომელიც ნახევარგამტარების თვისებათა შესწავლით იყო დაკავებული. 1951 წელს შექმნა პირველი სამფენიანი ტრანზისტორი, რაც ელექტრონიკის მინიატურიზაციის ერთ-ერთი წინაპირობა გახდა. 1956 წელს მიენიჭა ნობელის პრემია.

399. **დმიტრი შოსტაკოვიჩი** (1906-1975)
**რუსი კომპოზიტორი**

სამართლიანად იცელება საბჭოური სინამდვილის ყველა დროის უმნიშვნელოვანეს კომპოზიტორად. იგი კომუნიზმის ეპოქის ერთ-ერთ სიმბოლოდაა მიჩნეული, თუმცა ეს სულაც არ ნიშნავს იმას, რომ შოსტაკოვიჩის შემოქმედება ლენინიზმის იდეებით იყო განმსჭვალული. მისი წვლილი მუსიკალურ ხელოვნებაში იმდენად დიდია, რომ არანაირ იდეოლოგიურ ჩარჩოებს არ ემორჩილება. მან შექმნა 15 სიმფონია, კონცერტები ცალკეული ინსტრუმენტებისათვის, ოპერები და კამერული ნაწარმოებები, რითაც სამუდამოდ დაიმკვიდრა ადგილი მსოფლიო მუსიკის საგანძურში.

400. **ნოროდომ სიანუკი**
Sihanouk, Nordom (1922-)
**კამბოჯის მეფე**

თავის ქვეყანას სათავეში ედგა 1944-55 და 1993 წლიდან. 1955 წელს ტახტი საკუთარ მამას დაუთმო და ქვეყნის პრემიერ-მინისტრი გახდა. 1970 წლიდან იყო ემიგრაციაში. მცირე ხნით დააბრუნეს სამშობლოში, მაგრამ 1979 წლიდან კვლავ ემიგრაციაში მოღვაწეობდა. ითვლება XX საუკუნის კამბოჯის უმნიშვნელოვანეს პოლიტიკურ მოღვაწედ.

401. **ბევერლი სილსი**
Sills, Beverly (1929-)
**ოპერის მომღერალი**

დაიბადა ნიუ-იორკში. ნამდვილი სახელი და გვარია მირიამ სილვერმანი. მისი დებიუტი შედგა 1947 წელს ფილადელფიის სამოქალაქო ოპერის სცენაზე. მთელი შემდგომი შემოქმედება დაკავშირებულია ნიუ-იორკის ოპერასთან, სადაც განსახიერებულ მრავალ პერსონაჟს შორის უნდა აღინიშნოს კლეოპატრას პარტია ოპერაში „იულიუს კეისარი“, რამაც მსოფლიო დიდება მოუტანა.

402. **ფრენკ სინატრა**
Sinatra, Frank (1915-1998)
**მომღერალი**

ღარიბი იტალიელი ემიგრანტების შვილის, ფრენკ სინატრას გამოჩენა ესტრადაზე დაკავშირებულია ე.წ. „ბიგ ბენდის“ ერასთან. მან დღიდან გამოჩენისა უზარმაზარი პოპულარობა მოიპოვა და XX საუკუნის ესტრადის მომღერალთა შორის ერთ-ერთი ყველაზე გამოჩენილი ფიგურის სახელი დაიმკვიდრა. არანაკლები წარმატებით მოღვაწეობდა კინოხელოვნებაშიც, რის დამადასტურებელიცაა 1953 წელს მოპოვებული „ოსკარის“ პრემიაც. იყო საოცრად პოპულარული პიროვნება, საქვეყნოდაა ცნობილი მის რომანები ავა გარდნერთან და მერილინ მონროსთან; დიდხანს იყო პრესის ჭორების თემა მისი კავშირი მაფიოზურ სამყაროსთან, მაგრამ საბოლოოდ ჭორები მაინც ჭორებად დარჩა.

403. **ბ.ფ. სკინერი**
Skinner, B.F. (1904-1990)
**ამერიკელი ფსიქოლოგი**

ერთ-ერთი თვალსაჩინო წარმომადგენელი ბიჰევიორიზმისა (ფსიქოლოგიის მიმდინარეობა, რომელიც ამ მეცნიერების საფუძვლად მიიჩნევს არა ცნობიერებას, არამედ ქცევას, ნორმებს). მის მიერ შემუშავებული კვლევის მეთოდები საფუძვლად დაედო აშშ-ს ფსიქოლოგიური სკოლის შექმნასა და ჩამოყალიბებას XX საუკუნის მეორე ნახევარში.
















404. **სერჯენტ შრივერი**
Shriver, R.Sargeant (1915-)
**საზოგადო მოღვაწე**

მეორე მსოფლიო ომში მონაწილეობის შემდეგ მოღვაწეობა დაიწყო პრესაში, შემდეგ იყო ჯოზეფ პ. კენედის თანაშემწე, იქორწინა მის ქალიშვილზე. მოგვიანებით გახდა ცოლის ძმის, ჯონ კენედის საპრეზიდენტო საარჩევნო კამპანიის ერთ-ერთი ორგანიზატორი. 1961 წლიდან მსახურობდა სამშვიდობო ძალების ხელმძღვანელის პოსტზე და შეინარჩუნა ეს თანამდებობა პრეზიდენტ ჯონსონის მმართველობის დროსაც. 1968-70 წლებში იყო აშშ-ს ელჩი საფრანგეთში. 1972 წელს იყო პრეზიდენტობის კანდიდატ ჯორჯ მაკ გოვერნის საარჩევნო კამპანიის ორგანიზატორი და არჩევნების წარუმატებლად დასრულების შემდეგ ჩამოშორდა აქტიურ პოლიტიკურ მოღვაწეობას.

405. **იან სმითი**
Smith, Ian (1919-)
**ზიმბაბვეს პოლიტიკოსი**

აქტიურ ცხოვრებაში ჩაერთო როგორც მებრძოლი პილოტი დიდ ბრიტანეთთან წარმოებულ საომარ კონფლიქტში. 1948 წლიდან როდეზიის (1975 წლიდან - ზიმბაბვე) პარლამენტის წევრი გახდა. 1964 წლისათვის უკვე ამ ქვეყნის პრემიერ-მინისტრის თანამდებობას მიაღწია. 1965 წელს კი იყო ერთ-ერთი მათგანი, ვინც ქვეყნის დამოუკიდებლობის დეკლარაცია გამოაქვეყნეს. აქტიური პოლიტიკური მოღვაწეობა არ შეუწყვეტია XX საუკუნის 90-იან წლებამდე.

406. **იან ქრისტიან სმეტსი**
Smuts, Jan (1870-1950)
**სამხრეთაფრიკელი სახელმწიფო მოღვაწე**

სამხრეთ აფრიკის კავშირის (1961 წლიდან სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკა) პრემიერ-მინისტრი 1919-24 და 1939-48 წლებში. ბრიტანეთის ფელდმარშალი. იყო ე.წ. აპარტეიდის პოლიტიკის ერთ-ერთი სულისჩამდგმელი. ეროვნებათა ლიგის წესდების ერთ-ერთი თანაავტორი.

407. **ალექსანდრე სოლჟენიცინი** (1918-)
**რუსი მწერალი**

ახალგაზრდობაში მიიღო ტექნიკური განათლება მოსკოვის უნივერსიტეტის ფიზიკა-მათემატიკის ფაკულტეტზე. შემდეგ დაამთავრა სპეციალური ლიტერატურული კურსები. მონაწილეობდა მეორე მსოფლიო ომში ოფიცრად, დაჯილდოებულია მთავრობის ჯილდოებით მამაცობისათვის, მაგრამ ომის დასრულების შემდეგ გახდა აქტიური კრიტიკოსი ტოტალიტარული რეჟიმისა, რისთვისაც დაპატიმრებულ იქნა. გაათავისუფლეს 1953 წელს. 1962 წელს გამოაქვეყნა ნაწარმოები, რაც ასახავდა მის მიერ გატარებულ ცხოვრებას პოლიტპატიმართა ბანაკებში. მალე გამოაცხადეს საბჭოური სინამდვილისათვის შეუფერებლად და დაიწყო მისი დევნა. 1970 წელს მიენიჭა ნობელის პრემია ლიტერატურის დარგში. 1974 წელს კგბ-ს მიერ დაპატიმრებულ იქნა, რის შედეგადაც გააძევეს საბჭოთა კავშირიდან. ემიგრაციაში ყოფნისას არაერთხელ გამოიცა მისი ნაწარმოებები, რითაც მსოფლიო მასშტაბის მწერლის სახელი დაიმკვიდრა. 1994 წელს დაბრუნდა რუსეთში და კვლავ აქტიურ საზოგადოებრივ მოღვაწეობას შეუდგა.

408. **თეოდორ სორენსენი**
Sorensen, Theodor (1928-)
**პრეზიდენტის მრჩეველი**

დაიბადა ნებრასკაში, იქვე მიიღო უმაღლესი იურიდიული განათლება. პოლიტიკურ ასპარეზზე გამოვიდა, როგორც სენატორ ჯონ კენედის პირადი ასისტენტი, ხოლო როცა სენატორი კენედი პრეზიდენტი კენედი გახდა, თეოდორ სორენსენი პრეზიდენტის საგანგებო საკონსულტაციო ჯგუფს ჩაუდგა სათავეში 70-იანი წლებიდან ითვლება აშშ-ს ერთ-ერთ ყველაზე ცნობილ პოლიტიკურ მიმომხილველად.

409. **სტივენ სპილბერგი**
Spielberg, Steven (1947-)
**კინორეჟისორი**

